№ 92
შაბათი, 28 აპრილი, 1901 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისი

№ 92
შაბათი, 28 აპრილი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

მარიამ ნიკოლოზის ასული და კონსტანტინე ლუარსაბის ძე ფურცელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას სოფელს მერეთში, პირველი დედისა, ხოლო მეორე სიდედრის

ეკატერინე გლახა ყიფიანის ასულის თურქესტანოვისას.

პანაშვიდი გარდახდილი იქმნება ყოველ დღე, დილით და საღამოთი, ხოლო დასაფლავება მოხდება სოფელ მერეთში, შაბათს, 28 აპრილს.

(3—108—3)

სერგეი და გრიგოლ მელვინოვები, მარიამ კრიჟჩიანისა, ოლღა ხერხეულიძისა, ნინო მზარეულიანცი და ანნა და ალექსანდრა მელვინოვებისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი მათის ძმის, ხოლო უკანასკნელნი მაზლის

ალექსანდრე სტეფანეს ძის მელვინოვის

მოულოდნელად გარდაცვალებას და სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზედ შაბათს, საღამოს 7 საათზედ, ნიკოლოზის ქუჩაზედ, სერგეი მელვინოვის სახლში, № 140. განსვენებულის გვამს ბინიდგან კვირას, 29 აპრილს, გაასვენებენ კუკიის თანდოიან წმ. ღვთისმშობლის ეკლესიაში, ხოლო იქიდგან ხოჯივანქის სასაფლაოზედ დასაკრძალავად.

(2—109—1)

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

გამგეობა გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის

„მუამაგალისა“

ამით აცხადებს, რომ 9 **მაისს** ამა წლისას, დილის ათ საათზედ, **ქალაქ ოზურგეთში,** ამხანაგობის კანტორაში **დანიშნულია ჩვეულებრივი წარმომადგენელთა წლიური კრება** ამა ამხანაგობისა.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, განხილვა და დამტკიცება 1900 წლის ანგარიშისა; 2, დროებით, მომავალის წლის საზოგადო კრებამდის, წილის ფულის რაოდენობის შეკვლა ახალ წევრთათვის; 3, გამორიცხულ წევრების უფლების მიცემა მიავსონ წილის ფული და მათი გადასვლითი ფული ჩაერიცხოთ წილის ფულად; 4, მიღება ახალ წევრთა და იმ წევრებისა, რომელთაც წილი სხვებისგან შეიძინეს; 5, მიღება იმ წევრისა, რომელიც გასულს წელს წლიურ კრებაზედ არ იქმნა მიღებული; 6, განხილვა თხოვნებისა იმ პირებისაგან, რომელთაც ბ-ნ კ. თავართქილაძესთან წილის ფული შეუტანიათ, წილის ბარათიც მიუღიათ, მაგრამ არსად მოხსენებულნი არ არიან; 7, მოხსენება სარევიზიო კომისიისა, უკეთუ გამგეობას გადმოსცემს თავისს დროზედ განსახილველად; 8, სესხის მოპოვება; 9, არჩევა სარევიზიო კომისიისა განცალკევებით ოზურგეთსა და ლანჩხუთში; 10, არჩევა გამგეობის ერთის წევრისა, ნაცვლად თ. კიკვაძისა, რომელიც სამსახურს თავს ანებებს.

მმართველი ს. ჭეიშვილი

(2—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ი. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანახიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ზძლიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. ზვაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

პ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. ზატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელობოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მალალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

აპრილის 23—29-მდის ქუთაისში

ექიმი

ნიკო ერისთავი

მიიღებს ნერვების და შინაგან (გულის, სტომაქის, ფილტვების, ნაწლავების) ავადმყოფთ.

სევერნი ნომრები. (6—106—6)

სამკურნალო კაბინეთი

დოქტორის

ი. იაკ. გოკიელისა,

იღებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს.** წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე. მიხეილის და ნემეცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემეცთა ქუჩიდგან აქვს.

(100—256—40)

ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, წესდების მე 91 §-ის ძალით, აუწყებს ბ. ბ. რწმუნებულთ ხსენებულ ბანკისას, რომ 1901 წლის 22 მაისს, დილის 10 საათზედ, ტფილისში, ბანკის დარბაზში დანიშნულია **მორიგი კრება,** რომელსაც წარედგინება განსახილველად და და სამტკიცებლად შემდეგი მოხსენებანი:

1) ანგარიში ბანკის 1900 წლის მოქმედებისა და მასთანავე მოხსენება.

2) ბანკის ამა მიმდინარე 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

3) მოხსენება საზოგადო-სასარგებლო თანხის განაწილების შესახებ.

4) მოხსენება სასოფლო-სამეურნეო თანხის განაწილების შესახებ.

5) მოხსენება, რწმუნებულთა კრების დადგენილების თანახმად ბანკის წესდების მე-103 §-ის შევსების შესახებ, იმ რიგად, რომ ბანკს ნება მიეცეს სათადარიგო თანხა სარგებლის ქაღალდებში ჰქონდეს შენახული, რომელნიც მთავრობის მიერ არ არიან უზრუნველყოფილნი.

6) ბანკის რწმუნებულის თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილის განცხადება ბანკის წესდების მე 33 § ის შევსებისა და მე 35 § ის გამორიცხვის შესახებ.

7) მოხსენება, რწმუნებულთა კრების დადგენილების თანახმად, ტფილისის საკომერციო სასწავლებელში ფონდის შესადგენად საშუალების გამოძებნისა და კახეთში სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ.

8) მოხსენება, წესდების 1 ლ §-ის შევსების შესახებ, რომლითაც ბანკის მოქმედება გავრცელებული იქმნება ამიერ-კავკასიის ზიაგიერთ ადგილში.

9) მოხსენება, 24 რწმუნებულის განცხადების თანახმად, ბანკის დამფასებელ კომისიის წევრთა რიცხვის გადიდების შესახებ.

10) მოხსენება, წესდების მე 84 §-ის თანახმად, ბანკის რწმუნებულთა არჩევნების დღის ვადის დანიშვნის შესახებ 1902—1904 წ.წ. და

11) არჩევნები გამგეობის წევრის ა. ნ. ფურცელაძის ნაცვლად, გამგეობის ერთის წევრისა და მისის კანდიდატისა და დამფასებელ კომისიის სამის წევრისა თავ. გ. ს. ციციშვილისა, ა. ნ. ფურცელაძისა და თავ. ნ. ა. თუმანიშვილის ნაცვლად, და მათის კანდიდატებისა.

რწმუნებულთა კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს (შენიშვნა წესდების მე-91 §-ისა).

(3—6—3)

შემოწირულება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

მადაზიამ „უჩებნია პოსობია“—გუშინდელ ნომერში ჩამოთვლილ ნივთებს გარდა ხუთი წიგნიც.

ელისაბედ იოსების ასულმა ფიცხელაურისამ ჩინური ყავის ფინჯანი, ბროშკა, ძვირფასის ქვებით მოჭედილი და ატლასზედ ნაკერი ქილეტი.

ახალი ამბავი

⁂ ხვალ, 29 აპრილისათვის დანიშნულია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. ამ კრებამ უნდა განიხილოს, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: თავად-აზნაურთა ქონების გამგებლობის საქმე, სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ, ახალი დებულება თავად-აზნაურთა ქონების გამგებლობისა, სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელ წევრთაგან ამ ბანკიდგან გამოსატან ფულის საქმე და სხვანი. ამავე კრებამ უნდა მოისმინოს დრამატიულ საზოგადოების გამგეობის განცხადება ელექტრონის განათების მოუწყობლობისა გამო იმ ზარალის დაბრუნების შესახებ, რომელიც საზოგადოებას მოუვიდა. კრება დილის 12 საათზედ დაიწყობა სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

⁂ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ 26 აპრილს გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზედ კანდიდატად აარჩია თავადი სიმონ წერეთელი და სიმონ ლორთქიფანიძე. პირველს ამოუვიდა 148 თეთრი და 43 შავი, მეორეს—112 თეთრი და 79 შავი. თავ. ნიჟარაძეს ყუთი არ დაუდგამს.

⁂ საერო განათლების სამინისტრო შესდგომია სატეხნიკო სასწავლებელთა ახალ პროექტის შემუშავებას. ამ პროექტით დაარსებული იქმნება ორის სახის სატეხნიკო სასწავლებლები. ერთში სწავლა ოთხის წლის ვადით იქმნება, მიიღებენ იქ საქალაქო სასწავლებლებში სწავლა-

დამთავრებულთ; მეორეში—რვა წლის ვადით. სპეციალურ საქმეებს გარდა ამ მეორე ტიპის სასწავლებელში საზოგადო განათლების საგნებსაც ასწავლიან. იქ სწავლა-დამთავრებულთ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებშიაც შეეძლებათ შესვლა

⁂ ხვალისათვის ქართულ თეატრში დიდი მზადებაა დრამატურგის გ. სუნდუკიანცის პატივ-საცემლად. მთელი თეატრის დარბაზი ყვავილებით, დაფნის გვირგვინებითა და პატარა დროშებით იქნება მორთული. წარმოადგენენ ამ დღეს ბ-ნ სუნდუკიანცის „პეპოს“ ამ პიესის დაწერიდგან 30 წლის შესრულების სახსოვრად. პატარა როლებსაც ამ საღამოთი პირველ-ხარისხოვანი არტისტები შეასრულებენ. წარმოდგენის შემდეგ ბ-ნ სუნდუკიანცს მიულოცვენ სხვა-და-სხვა დეპუტაციები. წაიკითხავენ აგრეთვე ადრესებს და ლექსებს.

⁂ კავკასიის სამკურნალო გამგეობას შეუმუშავებია სოფ. ავლევში განზრახულ სასოფლო სამკურნალოს ინსტრუქცია. ეს სამკურნალო სოფლის საზოგადოებამ თავის ხარჯით უნდა შეინახოს; თავის ხარჯითვე უნდა მოიწვიოს საზოგადოებამ მკურნალი.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან დეპეშით ატყობინებენ, ადგილობრივ ქალაქის გამგეობის წევრი ჩიმაკაძე თანამდებობიდგან გადაუყენებიათ.

⁂ ტფილისის ვაჟთა მე II გიმნაზიაში ეგზამენები 2 მაისს დაიწყება და 5 ივნისს დასრულდება.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ კავკასიის მკურნალთა მეორე კრება ტფილისში დანიშნულია 30 სექტემბრისათვის. ეს კრება 10 დღეს გაგრძელდება. მოხსენებათა წარდგენის ვადა დანიშნულია 10 სექტემბრამდის. მსურველთ უნდა მიჰმართონ კომიტეტის მდივანს, მკურნალს ა. რ. ფიშერს (ველიამინოვის ქუჩა № 16). საწევრო ფული 5 მან., კრების დაბეჭდილ „შრომათა“ მისაღებ უფლების მოსაპოებლად, უნდა წარუდგინონ კომიტეტის ხაზინადარს მკურნ. ი. გ. მელიქოვს (კადეტთა მოსახვევი, 3).

⁂ განზრახვა აქვთ შავის ზღვის პირად (კავკასიაში) რამდენიმე გზატკეცილი გაიყვანონ.

⁂ დღეს, 28 აპრილს, კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამგე კომიტეტს სხდომა ექმნება.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გადაწყვიტა წელსაც განაგრძოს ჭაობების ამოშრობა შავის-ზღვის პირის გუბერნიაში.

⁂ მომავალ მაისის გასულს პეტერბურგში დაარსებული იქმნება საფოტოგრაფო სკოლა, სადაც მიიღებენ როგორც ვაჟებს, აგრეთვე ქალებს.

⁂ როგორც „ცნობ. ფურც.“-ს ატყობინებენ, თელავში განუზრახავთ ააგონ შენობა სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა გასამართავად. ამავე შენობაში განზრახვა აქვთ მოათავსონ წიგნთ-საცავი და სამკითხველო. თელავის ქალაქის გამგეობას აღუთქვას სახალხო სახლისათვის თაუთმოს ქალაქის ბაღში ადგილი.

⁂ როგორც გაზეთ „კავკ.“-ს ატყობინებენ, ტფილისში ელექტრონის ტრამვაის გაყვანის ნება მაშინ მიეცემა ბელგიის უსახელო საზოგადოებას, როდესაც ეს საზოგადოება ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის გამგეობას 100 ათას მანეთს გადასცემს იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც საჭირო იქნება ტფილისის სატელეფონო მავთულების უშიშარ-საყოფელად ელექტრონის ტრამვაისაგან.

⁂ როგორც „კავკაზს“ ქ. გორიდგან სწერენ, მთავრობის განკარგულებით მდინარე ლიახვის და მტკვრის მხრივ გასამაგრებელ კედლების კეთებას შესდგომიან ქალაქის წყალდიდობისაგან დასახსნელად.

⁂ წარსულ წელში, როგორც ამბად გვქონდა აღნიშნული, ქალაქის მკვიდრთა მამასახლისმა ედიგაროვმა განაცხადა პოლიციაში, რომ ვითომც ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გატეხით გამგეობაში მისი კაბინეტი და იქიდგან მოეპარათ რვაას მანეთზედ მეტი. ედიგაროვმა ქურდობაში ეჭვი განაცხადა გორის მაზრის სოფ. მერეთის მცხოვრებზედ გიორგი მაღხაზის ძე შავლოხაშვილზედ, რომელიც მოსამსახურედ იყო გამგეობაში და რომლის მეტმა, ედიგაროვის განცხადებით, არავინ იცოდა ვითომც, რომ მას ის ფულები შენახული ჰქონდა ყუთში. ეს საქმე განიხილა გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სისხლის სამართლის განყოფილებამ, რომელმაც უდანაშაულოდ იცნო შავლოხაშვილი და გაამართლა იგი.

⁂ ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ წარუდგინა გამგეობას ტფილისის გუბერნიის ქალაქის უძრავ მამულებზედ 1901 წლის სახელმწიფო გარდასახადის გაწერის პირი და დაავალა განაწილოს ქალაქ ტფილისის უძრავ მამულებზედ ეს გარდასახადი.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაურთავს ფოსტის ცხენების მომატებისა ტფილის-სიღნაღისა (20 ცხენი) და ტფილის-თელავის (8) საფოსტო გზებზედ.

⁂ ფოთის ქალაქის თვით-მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ფოთის მედროგეთა და მეურმეთ გარდასახადი გაეწეროს ქალაქის სასარგებლოდ არა უმეტეს 5 მანეთისა თვითო ცხენსა, ჯორსა, ვირსა, ხარსა თუ კამეჩზედ.

⁂ ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ქალაქის სასარგებლოდ ძაღლების პატრონთ გარდასახადი გაეწეროს, თითო ძაღლზედ—2 მანეთი.

⁂ სადგ. ბათუმი. 26 აპრილს, მეორე საათის ნახევარზე, ბათუმის სადგურზე ორთქლ მავალი № 75 წინა ბაქანიდგან ჩამოვარდა „მანევრის“ დროს. მეისრე გაბრიელ სარიშვილს ორთქლმავალმა ზედ გადაუარა და გაჭყლიტა.

⁂ სამკურნალო დეპარტამენტს გამოუგზავნია პეტერბურგიდგან ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სამკურნალო განყოფილებისათვის 16 ცალი სია მთელის რუსეთის მკურნალებისა და დაუვალებია, ეს სიები დაურიგოს ტფილისის გუბერნიის აფთიაქებს.

⁂ ქალაქის გამგეობამ ალექსანდრეს ბაღის შუაგულში ჩაისა, ყავისა, შოკოლადისა და სხვა სასმელების სავაჭრო პავილიონის გამართვის ნება მატილდა ფრანცს დართო, რომელმაც შეაძლია ქალაქს ამ ადგილისათვის 150 მან. წელიწადში.

⁂ როგორც ტფილისის ქალაქის ლომბარდის ანგარიშიდგან სჩანს, 1900 წელს ლომბარდის კასას უწარმოებია სულ 435,280 მან. 39 კაპ. წინა წელზედ მეტი 19,864 მან. 38 კაპ.

⁂ როგორც განჯიდგან გვატყობინებენ, 25 აპრილს, ვაგონის აწევის დროს დარაჯს კოვალჩუკს მკერდი მძიმედ დაშავებია. კოვალჩუკი გაგზავნილ იქმნა განჯის საავადმყოფოში.

⁂ სადგ. ჯაჯური. 26 აპრილს, ყარსის გზაზედ, მე-194 ვერსზედ, მატარებელი № 138 გააჩერეს 15 წამით. მატარებელის გავლის დროს ფერდოდგან ჩამოვარდა ქვა, რომელიც ორთქლ-მავალს მოხვდა და მცირეთ დააშავა.

⁂ ხრამი. (ყარსის გზა). 26 აპრილს მდინარე შულავერი სამ საათზე ადიდდა, და 44 ვერსტზე 20 ვაგონი, რომლებითაც ქვა-ქვიშას ეზიდებოდენ, წყალში ჩაიმალნენ. წყალმა ხიდიც წაახდინა.

◆

გაბრიელ სუნდუკიანცი.

29 აპრილს ქართული დრამატიული საზოგადოება დღესასწაულობს ოცდა-ათი წლის სამსახურს ქართული სცენისთვის გაბრიელ სუნდუკიანცისას. ამ დღეს წარმოდგენილ იქნება ქართულს თეატრში საზოგადოების საყვარელი მისი პიესა „პეპო“.

დიაღ, დიდი სამსახური გაუწია სუნდუკიანცის ძლიერმა ნიჭმა ორს სცენას: სომხურსა და ქართულს და უფრო კიდევ ქართულს, რადგან ქართული სცენა აგერ ოცდა-ათი წელიწადი მეტია, რაც მუდმივ არსებობს, და შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ქართულმა საზოგადოებამ მეტი ყურადღება მიაქცია მის პიესებს, და თვით იგი ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ აირჩია თვის საპატიო წევრად.

ეს პატივი შეიძინა დიდად პატივცემულმა და დასაფასებელმა სუნდუკიანცმა არა ისე, როგორც სხვათა მრავალთა ჰხვდებათ ხოლმე უბრალო მოდის წყალობით ანუ მეგობართა და მომხრეთა რეკლამებით. იმან შეიძინა ეს პატივი და სიყვა-

---

ფელეტონი

პატარა სიმღერები

(1898—1900 წლ.)

ქორწილი

გხედავ, ტურფავ, გვირგვინ ქვეშ
ფერმიხდილსა და მდუმარეს; [მდგარს,
სულ არ შვენის თეთრი კაბა
სახეს შენსა, ღრმად მწუხარეს;
გარეშემო სიცილია;
ქორწილს დღესასწაულობენ,
შენ კი რას გრძნობ, რა ცეცხლი
იმას როდი კითხულობენ!.. [გწვავს,

დუტუ მეგრელი

◆

მგზავრის წერილები რომიდგან

IV*)

მხოლოდ მაშინ ნათლად გამოესახება ადამიანს ღირსება რომაელთა ნიჭისა საზოგადოდ ხელოვნებაში და კერძოდ ხუროთ-მოძღვრებაში, როდესაც ადგილობრივ დაათვალიერებს ზემო წერილებში აღწერილ ნაშთებს. ყველას მიერ ცნობილია, რომ ხუროთ-მოძღვრებასა და კულტურაში, როგორც ლიტერატურაში, რომაელებს აკლიათ განსაკუთრებული ქმნილება და თავისებურება, რაიცა დამახასიეთებელია ერის ესტეტიურ და ხელოვნურ ძლიერებისა.

რომაელები ყოველ ხელოვნურ მისწრაფებაში ჰბაძავდნენ ცეცხლითა და მახვილით შეპყრობილ ხალხს და განსაკუთრებით ძველ ბერძნებს, ამისათვის ყოველგან ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, სადაც-კი ძველი შენობა რამ არის, რომაელების სტილი შეგხვდებათ. როგორც მწერლობაში ენიუსი, პლოტი და ტერანსი სთარგმნიდნენ და ჰბაძავდნენ საბერძნეთის კომიკებს, როგორც ლუკრეცი იღებდა თავისს მასალას ალექსანდრიუსისაგან, როგორც ვირგილი ჰქმნიდა თავისს ენეიდას ილიადას მზგავსად და ციცერონი მჭერმეტყველებდა აღჭურვილი დემოსფენით და პლატონით, ისეც რომაელების ხუროთ-მოძღვრებს და სკულპტორებს გადმოჰქონდათ ხელოვნება საბერძნეთიდგან ანუ სხვა ქვეყნებიდგან და სცვლიდნენ მას თავისებურ ნიჭისა და ხასიათის გვარად. თუ საბერძნეთის ხუროთ-მოძღვრებაში ვპოულობთ სიმშვენიერეს, სიწმინდეს და სიმარტივეს, რომაელების ხუროთ მოძღვრების განსასაზღვრელად ამ თვისებებს უნდა დავუმატოთ სიმკვიდრე შენობებისა, სასარგებლო მოწყობილება, მდიდრული განვითარება ორნამენტებისა და უზარმაზარი გარეგანი შეხედულება. რომაელები იყვნენ პირველნი, რომელთაც შემოიღეს თაღების ხმარება შენობებში, მეტადრე ჯვარედინ თაღებისა, რომლებსაც აშენებდნენ მშვენიერ, სუბუქ და სუფთად გათლილ მასალისაგან. ჩვენს ძველ ხიდების მოწყობილებაში ბევრგან მოსჩანს რომაელების ხელოვნების გავლენა.

იგივე აზრი წარმოითქმება რომაელების სკულპტურაზედ, ე. ი. ისიც მიბაძვისა და არა ქმნილების ხასიათისა იყო, რადგან უმთავრესნი გამოჩენილნი მქანდაკებელნი იყვნენ სამშობლოდგან განდევნილნი ბერძნები და არა რომაელები. რადგან სკულპტურაში ძნელი არის სასარგებლო პრაქტიკულ ხასიათის შემოღება, ამისათვის აქ, როგორც წმინდა ხელოვნებაში, საჭიროა თავისუფალი ნიჭი, უწმინდესი იდეალი და პოეზია გამოსახული მარმარილოზედ ანუ ქვაზედ; ამ გვარ ნიჭით ვერ აღიჭურვნენ რომაელები, ამისათვის მათი ქანდაკების ხელოვნებამ ნელნელა დაჰკარგა ბერძნულ სკულპტურის სიმშვენიერე და ბოლოს გადაგვარების ფერი დაედო. ვინც ყურადღებით დააკვირდება რომაელების დანგრეულ დიდრონ სასახლეებს, ტაძრებსა, ცირკებსა, თეატრებს, აბანოებს, ციხეებს, მშვენიერ ქანდაკებათა, და მრავალ სხვა ნაშთებს, რომელნიც თვითვე აღნიშნავენ რომაელების მედიდურ წარსულ ცხოვრებას, იმას უსათუოდ მოუვა ფიქრში, რად განქრა ეს ყოვლად შეწყობილი და ბედნიერი ერი, რად წავიდა უკულმად ამ ხალხის ცხოვრება, როდესაც ამისთანა კარგი წყაროები დაგვიტოვა ჩვენ ხელოვნებასა, ლიტერატურასა, მჭერმეტყველობასა, კანონმდებლობაში და სხვ. თუ რომაელების წეს-წყობილება და ცხოვრება მკვიდრი და საფუძვლიანი იყო, მაშინ პროგრესის და ევოლიუციის გზას უნდა დასდგომოდნენ,—გამრავლებულიყვნენ, გაეუმჯობესებინათ თავიანთი ცხოვრება, უკუეგდოთ ყოველი ცუდი გარეგანი გავლენა და ამ გზით შეენახათ განსაკუთრებული ხასიათი იმ აზრით, რომ შემდეგში ამოსდგომოდნენ გვერდზედ სხვა ერებს წინსვლის ასპარეზზედ. ერის გაქრობა და ამოფხვრა ადვილი არ არის, თუ იმ ერში ტრიალებს კულტურული და ფიზიკური ძალა; ამას გვიჩვენებს დღეს ბურებისა და ინგლისის დამოკიდებულება. მდიდარმა, განათლებულმა და მძლავრმა ინგლისმა ვერ სჩანიქა პაწია ბურები და ვერც სჩანთქავს, თუნდ ომში გამარჯვებულიც დარჩეს. სწორეთ ეს ძალა შესუსტებული იყო რომაელებში, რადგან ყოველ თავისს გამაცოცხლებელ ღონეს ჰკარგავდნენ ომებში სხვა ქვეყნების დასაპყრობად, ყოველგვარი მუშაობა, ყოველგვარი წარმოება მივიწყებული იყო. ერთად ერთს მუშაობას სცემდნენ პატივს რომაელები და ეს იყო მიწის შემუშავება, ანუ სოფლის მეურნეობა, ისიც იმისთვის, რომ ეს ჰკვებავდა მეომარს მშვიდობიანობის დროს. ყოველი მეომარი მზად უნდა ყოფილიყო და დაბარებისათანავე გასულიყო ომში, ასე რომ რომი წარმოადგენდა მშვიდობიანობაში მყოფ ბანაკს და თვით რომაელები მის მეომრებს. აი, რას სწერს ამის დასამტკიცებლად ტიტ ლივი- „in muris armati dispositi et justitium inforo fabernoeqne clausae“, როდესაც განაცხადებდნენ ომს, ყოველი რომაელი იჭერდა თავისს ადგილს ჯარის რიგში, სასამართლო იხურებოდა, დუქნები იკეტებოდა. მიწის მუშაობის გარდა, დანარჩენი მუშაობანი მხოლოდ ტყვეებისა და მონების საკადრისად ითვლებოდა. იქამდე მივიდნენ რომაელები, რომ თვით ლიტერატურასა და ფილოსოფიაში ავრცელებდნენ, რომ საკადრისი არ არის ხელით მუშაობა. აი რას მოგვითხრობს სენეკა: „სიბრძნე არ ამზადებს ხელებს სამუშაოდ, იგი გამძღოლია სულისა“. რასაკვირველია, სენეკას შეეძლო ამ გვარად თავისუფლად ეფილოსოფოსნა, როდესაც მრავალი რიცხვი მონებისა ემსახურებოდა, მისთვის არ იყო საჭირო ზრუნვა არსებობისათვის საბრძოლველად.

თვითო რომაელ ხალხის ცხოვრება არ იყო სახარბიელო მდგომარეობაში. იმ დიდებას, რომელსაც ჩვენ ეხლა ვპოულობთ ნაშთებში, სრულიად გარეგანი და არა ხალხში შესული ხასიათი ჰქონდა. რომაელების სარდლები და წინამძღოლნი, გამდიდრებულნი ომებით, აშენებდნენ მშვენიერ და უდიდესს სასახლეებს, საზაფხულო სადგომებს, აბანოებს, ეკკლესიებს, გაჰყავდათ განიერი გზები, აწესებდნენ მუდმივ ადმინისტრაციას, ჰქმნიდნენ კანონებს და იპყრობდნენ ახალს ქვეყნებს იმ ზომამდე, რომ როგორც ამბობენ, რომი მთელი ხმელეთის დედა-ქალაქად აქციეს. მხოლოდ ამ გვარ მისწრაფებით ამათ არავითარი სარგებლობა არ მოუტანეს თვით მცხოვრებლებს, გაუმჯობესობის მაგიერ, ერი გაალატაკეს ქონებრივად, გაალარიბეს ზნეობრივად, გაათახსირეს ფიზიკურად და ბოლოს იმ სისუსტემდე მიიყვანეს, რომ ვეღარ გაუძლო შემოსევას ახალგარეშე მოსულ ხალხისას და დათრგუნვილ იქმნა მის მიერ როგორც განსახრწნელად დამზადებული გვამი.

გიორგი დეკანოზიშვილი

---

*) იხ. „ივერია“ № 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული თავისი მართლაცა და შესანიშნავი ხელოვნების ნიჭით, ღრმად ცხოვრებაში ჩახედვით, სოციალურთა ნაკლთა შესწავლით და ამ ნაკლთა მარჯვედ გამოხატვით, მათი გმობით, მათდამი ზიზღის გაღვიძებით მკითხველთა და სცენის მაყურებელთა თვალში. და ამ მხრივ ჩვენს ძვირფასს გაბრიელ ნიკიტის ძეს არამც თუ ჩვენს ქართულ-სომხურს დრამატიულს მწერლებში არა ჰყავს ტოლი და თვით რუსეთის ამ გვარს სამწერლოში უკეთესის ჩვენება ადვილი არ არის.

რომელიც პიესა არ აიღოთ იმისი, ყველგან თქვენ უხვად ჰპოვებთ გონებისა და ზნეობის საზრდოსა და წყაროს, ყოველგან ჩაგახედებთ ის თქვენს და საზოგადოების გულს, ზნეობასა და ქცევაში, ჩაგახედებთ თქვენს ნაკლსა და საზოგადო მოვლენათ ნაკლში, გაგიღვიძებთ სურვილს უკეთესი ცხოვრების კვლევისა და ძებნებისას, უკეთესი იდიალების პოვნისას. ის არც ერთს კალმის მოსმას არ ახმარებს იმ ტაკიმასხარობას, რომლის ასპარეზად გამხდარა სამწუხაროდ არამც თუ აქაური და მთელი ევროპის სცენა. ყოველი იმისი სტრიქონი არის ღირსებით სავსე, აქვს ზნეობრივი და გონებრივი მიზანი, აქვს სახეში წმინდა პედაგოგიური აღმზრდელი მნიშვნელობა. იმას სახეში აქვს სცენას შეასრულებინოს სწორეთ ის, რა აზრი და მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს და ექიროს კაცობრიობის გონებისა და ზნეობის განვითარებაში. სუნდუკიანცი მიელტვის იმას, მაგრამ ის მიელტვის არა ცრუ მხატვრობაებით, ცრუ სანახაობით, შეთხზული და შეთითხვნილი ვითომც და ცხოვრების ნაკლის ანუ იდეალების დახატვით,— ის მიელტვის თავისი აზრების ცხოვრებაში გაყვანას ნამდვილი აწონილი ცხოვრების მოვლინებათა ჩვენებით, აწონილი ცხოვრების ნაყოფის შეწავლით და გამოხატვით. ის სდევნის და ჰგმობს იმ ნაკლს, იმ ზიანს, რაც არის ცხოვრებაში, არის ცხოვრების ნაყოფი, რაც სწყლავს მთელს საზოგადოებას, შეარდგენს საზოგადოების სენს, იპოვება ჩემში, შენში; დაინახავს კაცი თავის თავში და იცნობს თავს, როგორც სარკეში. მხოლოდ ამგვარად ცხოვრებიდამ, ჩემიდამ, შენიდამ სხვიდამ ამოკრებილს და დახატულს მხატვრობას, ხელოვნების ნაყოფს აქვს მნიშვნელობა. იმ სენის დევნას, იმ ნაკლის გმობას, რომელიც არის ნაყოფი მხოლოდ ავტორის ცრუ მოგონებისა და იგინი არ მოიპოვებიან საზოგადოებაში, საზოგადოების შემადგენელს ცალკე პირებში, არ უდგია ცხოვრებაში ფესვი დ̃ არ შეადგენს ცხოვრების ნაყოფს,—არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, ვერ გაასწორებს ვერავის, ვერ აცნობს ვერავის თავის ნაკლს, საზოგადოებას. ამგვარი ხელოვნება არის საპნის ბურთი, რომელსაც, მოხვდება თუ არა ჰაერი, გაჰქრება იმ წამსვე. და ჩვენი პატივცემული სუნდუკიანცის ნიჭმა იცნო ეს, და შეუდგა ცხოვრების ნამდვილ ნაყოფის კვლევას და ჩვენებას და ამ მხრივ იცნა კიდეც იგი საზოგადოებამ. აქა დევს საფუძველი იმ პატივისა, რომელიც მიაპყრა მას უკეთესმა საზოგადოებამ, მდაბიო შეიწრებულმა ერმა, რომლისაც ბედნიერება და წარმატება აქვს სახეში ყოველს იმის ნაწერს.

ვინ არის სუნდუკიანცი? რა არის იგი? ქართველია? სომეხია? რუსია?

ის არის ჯერ უპირველეს ყოვლისა კაცი. იმას აქვს კაცი სახეში, კაცი თავისი ნაკლით, თავისი საზოგადო წყობილებით, რომელსაც უჭირს ცხოვრების შეცვლა, დაძველებული, გაცვეთილი მავნებელი, წესებისა და წეს-წყობილების განდევნა და ახალი უკეთესის შეძენა. და აქ ის სომეხიც არის, რუსიც, ქართველიც და სხვა. იმან არ იცის, რა არის იუდა, რა არის ელინი. იმან იცის, რა არის კაცი და რა უჭირს მას.

ის ეკუთვნის იმ ჟროს კაცს, როდესაც ქართველი და სომეხი შეარდგენდნენ თითქმის ერთს ოჯახს, იყვნენ გამსჭვალულნი ერთი ინტერესით, ერთი იდეით და ვერ გაარჩევდი სად იწყობოდა სომეხი და სადა თავდებოდა ქართველი. ერთი ქვეყნის, ერთი მიწა-წყალის შვილთ ერთი იდიალი ჰქონდათ სახეში. ის დარჩა იმავე დროს კაცად. იმას უყვარს თავისი ერი ნამდვილი შვილობრივი სიყვარულით, ის სცდილობს გააღვიძოს მაში თავისი ქვეყნის სიყვარული, უჩვენებს იდეალებს, უსახავს ტიპებს ქვეყნისთვის თავ-გამწირველთა. მაგრამ განა ამგვარი იდიალები და ტიპები სხვათათვის-კი მისაბაძნი არ არიან, განა როდესაც რომელიმე დაჩაგრული ერი აიწევს და წავა თანასწორ-დაწინაურებული კაცობრიობისა სწორი და სამართლიანი ნაბიჯით — ეს სანატრელი დ̃ სასურველი არ არის?!. განა გაარჩევთ სადა თავდება ნამდვილათ აწონილი სამართლიანი პატრიოტობა და სად იწყობა ნამდვილი აწონილი გონივრული კოსმოპოლიტობა? მხოლოდ უმეცართა და შეუგნებელთა, რეგვენთა ჰგონიათ, რომ პატრიოტობა იყვეს სხვათა ეროვნებათა სიძულვილი, უცხოთა ჩაგვრა სასარგებლოთ თავისი ერისა, გამოხშობა თავის იწრო ცხოვრებაში, ძველი უვარგისი საეროვნო წესების დაცვა. ამგვარვე, მხოლოდ უმეცართა და რეგვენთა ჰგონიათ, რომ შესაძლებელი იყვეს კაცობრიობის ბედნიერება, თუ ერთი და ორი ერი ამ კაცობრიობაში წინ მიდის და სხვა ერნი უკან რჩებიან, სცვივიან უმეცრებასა და სილარიბეში. როგორც ერთ რომელსამე გვამს არ შეუძლიან სადათ სიცოცხლე და დღეგრძელობა, უკეთუ რომელიმე თავისი ნაწილი აქვს სნეული და დაზიანებული, ეგრეთვე კაცობრიობას არ შეუძლიან სადი და მთლიანი წარმატება, უკეთუ სხვა ეროვნებანი, რომელნიც არიან კაცობრიობის ნაწილნი, იქნებიან უკან ჩამორჩენილნი, ზნეობით, გონებით, ქონებით დაცემულნი. სუნდუკიანცი ეკუთვნის მათ, რომელნიც სადი თვალით უყურებენ პატრიოტობასაც და კოსმოპოლიტობასაც. ის არის ჯერ კაცი და შემდგომ მსახური თავისი ერისა. იმან იცის, რომ სამართლიანი სამსახური ერისა არის იგივე სამსახური კაცობრიობისა და უპირველეს ყოვლისა უნდა გვქონდეს კაცი სახეში; და სამსახური თავისი ერისა არის ვალი ყოველი გონიერი და სამართლიანი კაცისა.

იმან ამ მხრივ და თავისი დიდი ნიჭით დასდო დიდი სამსახური სამშობლო ერს, ჩვენ და მთელს აქაურს სცენას.

ანტონ ფურცელაძე

დაბა დ̃ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

კახეთი. მადლობა ღმერთს, გვალვებისა გამო მოსავალზე იმედ-გადაწყვეტილს კახელებს ბუნებამ კვლავ გაუღიმა და თითქმის თვე ნახევრის შემდეგ ჟუჟუნა წვიმა დაუშვა. თითქმის გადამხმარი ბაღნი, ჭორნახული და შეწუხებული ვენახები მობრუნდნენ და კარგს მოსავალს გვიქადიან, თუ შემდეგ არაფერი გამოუტყვრათ. ამ გაჭირვებს გაზაფხულს თან მოჰყვა, სუბედუროდ, ძარცვა-გლეჯა, რადგანაც ქურდების სამალავი ტყე-ველი მწვანით შეიმოსა. ამ დღეებში გაქურდეს ს. ვეჯინში თავადი დიმიტრი ანდრონიკოვი. საქმე ასე რიგად იყო: ცოლ-ქმარი გახშამს თურმე ემზადებოდნენ და მაგიდის გარშემო შემომსხდარნი ქათამსა სჭრიდნენ. ამ დროს ოთხი შეიარაღებული კაცი მიადგება სახლს. ერთი ამათგანი დაადგება თავზე დ—ს: არ გაინძრე, რევოლვერს დაგცემთ! კნეინას თითებიდგან ბეჭდებს წააძრობენ, ძვირფასს თვლებს, ნივთეულებს მოატანინებენ, მერმე შემოუსხდებიან მაგიდასა და კარგა დამაზად მიირთმევენ გახშამს. მასპინძელს უბრძანებენ: გვადღეგრძელე, ღმერთმა ხელი მოგვიმართოსო და სხვ. და სხვ... გათენებისას სამ ჩაფიანს ტიკს მოითხოვენ, გაავსებენ და საგზლათ წაიღებენ.

კარდანახშიაც შეეჭრნენ ერთს გლეხს ყაჩაღები. ორი შეიარაღებული კაცი შევარდა თურმე სახლში. ერთმა კარები ჩაკეტა შიგნიდგან, მეორემ ხანჯალი იძრო და ფულიო, დაიძახა. კაცო, რა მოგიბარებია, რასა მთხოვთ, ეუბნება თურმე სახლის პატრონი. ამ ლაპარაკში დიასახლისი უცებ ფანჯრიდგან გადახტება. ყაჩაღებიც იფიქრებენ, ეხლა-კი გაგვიგებენ და გაგვთოკვენო და ისინიც თან გადაჰყვებიან და ქალს ზევიდგან დაეცემიან. საცოდავი დიასახლისი ეხლაც წელს იტკივებს. გაცოფებული ქმარიც გადახტება ფანჯრიდგანა და წინ ყაჩაღები და უკან სახლის პატრონი ამ შუაღამისას. ებეც ბეჟოფა უე! გულში ხომ მოგარტყი ქვაო!—ყვირის გაალმასებული ქმარი. ეჭვი აღებული აქვთ ქურდებზე. გამოძიებაც სწარმოებს. ეს გაუბატონები ზამთარში ქათმებს, ინდაურებსა და საქონელს არავის არჩენდნენ და ახლა-კი სახლებშიაც გვიცვივიან. მაგრამ რა? ვინ უნდა შეიტყოს აგ კაცობა სოფელში, თუ არა სოფლის მამასახლისებმა და ესენი-კი რა ჯურის მოსამართლეებს წარმოადგენენ, ყველამ კარგად უწყის! ან-კი რა ხეირს უნდა მოველოდეთ ამათგან, როცა ახლანდელი მამასახლისების უმეტესობა მეკიტანხანიდგან, ჩარჩ-დალალებიდგან, ბაზაზებიდგან, ნალბანდ-კალატოზებიდგანა და იმ გვარი წრიდგან არიან, რომლებიც ხელადასა და დუქნებში ქეიფს კანონსამართალსაცა და სოფელსაც ანაცვალებენ. ერთგან, ერთმა ამგვარმა მამასახლისმა ქორწილში ზარხოში გლეხი შენიშნა. უბრძანა გზირებს: ვირზედ შესვით და სახლში ისე მიიყვანეთო, და თვითონაც უკან გაჰყვა. ბნელოდა. მიშველეთ, გამძარცვესო!—ჰყვიროდა ნაძალადევი მხედარი და უნებური მხლებლებიც „ბრავო, ბრავოს“ მისძახოდნენ!!. ბოლოს პირი დაფით აუვსეს საცოდავსა და უბიდგან შვიდი თუმანი გამოჰგლიჯეს. მამასახლისი თავისის გზირებით-კი იქა ბძანდებოდნენ!! გამოძიება სწარმოებს. ჯერ ამ ჟამად ჩვენებურს ავლა დიდებას ამ გვარი სასაცილო საქმეები შეადგენენ, მაგრამ, აკაკის არ იყოს, სიცილი ხომ ბევრჯელ ცრემლზე მწარეა!..

ერთი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელმა საზოგადოებამ 15 აპრილიდგან მოსპო ვაგონ-დუქნების ჰგზავნა ბაქომდე და ყარსამდე. ამ დუქნებით მიყრუებულ და მივარდნილ სადგურების მოსამსახურეებს სხვა-და-სხვა სურსათი და სანოვაგე ეგზავნებოდათ. რკინის გზის მთავრობამ დიდი ფულის გარდახდევინება დაუწყო საზოგადოებას ამ ვაგონებში, ხოლო რადგან საზოგადოებამ ამ ფულის გადახდა ვერ შესძლო, ვაგონებით სურსათის გზავნა მოსპო. ეხლა ამის თაობაზედ მეტად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი „С.-Петерб. Вѣдом.“-ის მე 108 ნომერში. ავტორი სამართლიანად უსაყვედურებს რკინის გზის გამგეობას ამ ვაგონებზედ დიდის ტარიფის დაწესების გამო და ამბობს, რომ მრავალ სადგურის მოსამსახურენი ამიერიდგან გაჭირვებაში ჩაცვივდებიან, რადგანაც ამ სადგურის მახლობლად არავითარი სურსათი და სანოვაგე არ მოიპოვება. როგორც წერილიდგანა სჩანს, ეს ვაგონ-დუქნები ჯერ ისევ მაშინ შემოუღიათ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ, როდესაც ეს გზა კერძო ამხანაგობის ხელში იყო. შემდეგ, როდესაც გზა ხაზინას გადაეცა, მთავრობა გზისა ვაგონებს იჯარით აძლევდა კერძო კაცებს, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ მოსამსახურეთათვის იაფ ფასად ახალი და კარგი სანოვაგე მიეწოდებინათ. რადგანაც მოიჯარადრენი პირნათლად არ ასრულებდნენ ვალდებულებას და ხშირად უვარგის სანოვაგეს ჰგზავნიდნენ, 1896 წელს ახლად დაარსებულმა მომხმარებელმა საზოგადოებამ იკისრა ვაგონ დუქნების წარმოება. საზოგადოებას მაშინ ეს ვაგონები უსასყიდლოდ დაეთმო. იგ ზავნებოდა ამ ვაგონებით ხორცი, პური, მწვანილი, ყინული და სხვა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ასეთი ვაგონები დიდ სიკეთესა და დახმარებას უწევდნენ მოსამსახურეთ. ასე იყო საქმე ამ ბოლო დრომდე, ვიდრე რკინის გზის მთავრობა მომხმარებელ საზოგადოებას ვაგონების დათმობისათვის დაახლოვებით 8 ათას მანეთს გააწერდა. როგორც ზემოდაცა ვთქვით, ამხანაგობამ ვერ შესძლო ამოდენა ფულის გადახდა და ვაგონების გზავნა მოსპო.

„მე მგონია, სწერს ავტორი წერილისა, თვით რკინის გზის სარგებლობისათვის საჭიროა მთავრობამ იზრუნოს რამდენიმე ათას მოსამსახურის კეთილდღეობისათვის და არ დაიშუროს ისეთის მცირე თანხის გაღება, როგორიც 8 ათასი მანეთია“.

მართლაცა და, ნუ თუ ისეთი რკინის გზისათვის, რომლის წმინდა მოგება წელიწადში 15—20 მილიონ მანეთამდე უწევს, ძნელია ხელმოკლე და გაჭირვებულ მოსამსახურეთა საჭიროებათათვის 8—10 ათას მანეთის გაღება?

უცხოეთი

ჩინეთი. საკვირველია, რომ ადამიანი სხვის მცირე დანაშაულსაც-კი მუდამ სასტიკად ჰკიცხავს და თავისას-კი არაფრად აგდებს, აფუჩუჩებს, განგებ თვალებს ახუჭავს. ასე იქცევიან ინგლისელებიც. „Times“-ის პეკინელი კორრესპონდენტი ხელ ახლად სასტიკად ჰკიცხავს გერმანიის პოლიტიკას ჩინეთში, რომელიც, მისის სიტყვით, შეიძლება მოკლეთ ასე გამოიხატოს: რაც შეიძლება გაჭიანურდეს ჩინეთიდგან ჯარების გამოყვანის საქმე, გამოძებნოს ახალ-ახალი მიზეზები, რომ სასტიკად როგორმე მოეპყრას ჩინელებსა და ახალი ექსპედიციები გაგზავნოს, რაიცა დაბოლოს ჩინელებს მოთმინებიდგან გამოიყვანს და აიძულებს წინააღმდეგობა გაუწიოს და ამ რიგად ჩინეთიდგან ევროპის სახელმწიფოთა ჯარების გამოყვანა შეუძლებელი შეიქმნეს. ინგლისელი კორრესპონდენტი, როგორც სჩანს, ამ ბოლოს დროს შანხაიში გაგზავნილ ექსპედიციით არის დიდად უკმაყოფილო, რადგანაც ექსპედიცია ისე გაიგზავნა პეკინიდგან, რომ ბრიტანიის გენერალსა და ბრიტანიის საელჩოს ამის შესახებ არა შეატყობინეს-რა. კორრესპონდენტის აზრით, ინგლისის მთავრობას არ შეუძლიან გერმანიის ასეთი საქციელი უყურადღებოდ დასტოვოს. საჭიროა გამოირკვეს, გერმანიის ასეთმა პოლიტიკამ სარგებლობა მოუტანა სახელმწიფოებს ჩინეთში, თუ აზარალა იგინი? ჩინელები ამას ხსნიან, რომ უცხოელთა ექსპედიციები სრულიად მშვიდობიანს ადგილებში იგზავნებიან და იერიშით იღებენ ისეთ სიმაგრეებს, რომლებიც რამდენიმე თვეა ჩინელების ჯარებს ეჭირათო. ეს ჯარები მუდამ ფრანგთა მოდარაჯე ჯარების პირდაპირ იდგნენ და არასოდეს მიზეზი არ მიუციათ, რომ საომრად ვინმე გამოეწვიათო.

ამას-კი ის პრაქტიკული შედეგი მოჰყვა, რომ პეკინის მიდამოები დღეიდგან უფრო მეტად საშიშნი არიან როგორც ევროპიელებისა, ისე ქრისტიანებისათვის, ვიდრე მაშინ, როდესაც პირველად ჯარები შემოიყვანეს და დღითი-დღე ასეთი მდგომარეობა საქმისა უფრო და უფრო მწვავდებაო.

კორრესპონდენტის აზრით, დროა ახლა ევროპის სახელმწიფოებმა ჩინეთიდგან ჯარები გამოიყვანონ და ქვეყნის მართვა-გამგეობა, აგრეთვე მშვიდობიანობის დაცვა თვითონ ჩინელებს მიანდონ, მაგრამ ამის წინააღმდეგები არიან ნემცები და გაფაცებით ყაზარმებს აშენებენო.

— „National Zeitung“-ის შანხაელი კორრესპონდენტი, აღგვიწერს-რა შანხაიში გამართულს საჯარო კრებას, მოგვითხრობს, რომ კრებაზედ საჯაროდ ულაპარაკნია ერთს თექვსმეტის წლის ჩინელს განათლებულს ქალს, რაიცა ჩინეთისათვის იშვიათ და პირველ შემთხვევათ უნდა ჩაითვალოს, და მისს ნალაპარაკევს დამსწრე საზოგადოებაზედ დიდი ზედგავლენა ჰქონია, ახალგაზრდა ორატორ-ქალს ყველას ყურადღება მიუქცევია. ორატორს ბოლომდის ყურადღებით უსმენდნენ და გაათავა თუ არა ლაპარაკი, აღტაცებულის ტაშის კვრითა და მოწონებით შეეგებნენო. მართალია ორატორს ახალი არა უთქვამს რა, მაგრამ თვით ეს ფაქტიც საკვირველი იყო, რომ დამსწრე საზოგადოებაში აღტაცება გამოიწვია და ყველას ერთხმად გაამხნევებინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აპრილი

მადრიდი. გუშინ ბარცელონაში ისევ არეულობა მოხდა, რომელშიაც ჯარიც გაერია, ბევრია მოკლული და დაჭრილი. როგორც ხმა დადის, გენერალი დელგადო გადადგა და მისი ადგილი გენერალმა ლუკემ დაიჭირა.

როგორც ბილბაოდგან იუწყებიან, სამთო-საქარხნო ოლქში დიდი აღელვებაა.

ბერლინი. საიმპერიო სეიმმა საიმპერიო კანცლერისაგან წინადადება მიიღო, სეიმის სხდომის ვადა გადასდეთ 13 ნოემბრამდისო.

ბელგრადი. მეფემ ბრძანება გასცა, რომ სამხედრო აკადემიაში რუსულის ენის სწავლა სავალდებულოდ იქმნას შემოღებული.

ასტრახანი. ბაქოს გუბერნატორმა დეპეშით შეატყობინა ასტრახანის გუბერნატორს მუშების უბედური მდგომარეობა ნავთის ადგილებში სამუშაოს დაკლებისა გამო და სთხოვა შეაჩეროს მრავალ მუშათა გამომგზავრება.

მოსკოვი. 26 აპრილს, დღის 11 საათზედ, საერო განათლების მინისტრმა ინახულა საიმპერატორო სატეხნიკო სასწავლებელი ლეფორტოვში. სასწავლებელში შეიკრიბნენ პროფესორნი და ინსპექციის წევრნი დირექტორითურთ. ცალკე დარბაზში იყვნენ საშუალო სასწავლებელთა დირექტორები, აგრეთვე დირექტორნი იაროსლავის დემიდოვის ლიცეისა და ცესარევიჩის ნიკოლოზის სახსოვრად არსებულ საიმპერატორო ლიცეისა. საგანგებო მონდობილებათა მოხელე ისტომინის თანახლებით მოსულს მინისტრს მიეგებნენ სასწავლებლის პროფესორნი დირექტორითურთ და ოლქის მზრუნველი, წარუდგნენ აგრეთვე სხვა დირექტორნი, პროფესორნი და ინსპექციის წევრნი. მინისტრმა მიმართა მათ დაახლოვებით შემდეგის შინაარსის სიტყვით: „სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მაუწყა მე, რომ როგორც მოსკოვის უნივერსიტეტში, ისე თქვენს სასწავლებელშიაც სწავლა შეუწყვეტლად სწარმოებდაო. მე ამას ვაწერ განსაკუთრებით სტუდენტებთან გულითად დამოკიდებულებას დირექტორისა, პროფესორთა და ინსპექციის მხრივ. ჩემის აზრით, სამეცნიერო განათლება ხელის-ხელ გაყრილი უნდა მიდიოდეს გულითად დამოკიდებულებასთან ერთად მოსწავლე ახალგაზდობის მიმართ. პროფესორები, საგნების სწავლების გარდა, სიყვარულით უნდა მოეპყრნენ თავიანთ ყურის მგდებელთ, ეს არის მათი უცილობელი უფლება, და ეს შეასრულეთ თქვენც ყოველ მხრივ, მეც მადლობელი ვარ თქვენი და იმედი მაქვს შემდეგაც აგრე მოიქცევით. თქვენ, რასაკვირველია, მოგეხსენებათ ხელმწიფის რესკრიპტი, რომლის უკანასკნელი სიტყვები, გონიერ და გულითად მზრუნველობის შესახებ, ხაზ-გასმულია მისის უდიდებულესობის მიერ. რასაკვირველია, თქვენი სპეციალური მოვალეობაა ტეხნიკოსთა მომზადება, რომელნიც ძალიან საჭიროა რუსეთისათვის, და ამ საჭიროებისამებრ ამ უკანასკნელ ხანებში არსდება კიდეც ახალი უმაღლესი სპეციალური სასწავლებლები და უკვე არსებული ფართოვდება, მაგრამ ამასთანავე რუსეთისათვის საჭიროა ჭეშმარიტი რუსები, აღზრდილნი რელიგიურ-ზნეობრივად და სიყვარულით ხელმწიფისა და მამულისადმი. გთხოვთ ეს დაიხსომოთ ყოველთვის და ამითი იხელმძღვანელოთო". სააქტო დარბაზიდგან მინისტრი ეკკლესიაში შევიდა და შემდეგ სახაზავ ოთახში, სადაც დაათვალიერა სტუდენტების ნაწარმოებნი. მინისტრმა მიმართა სტუდენტებს და ურჩია, ისწავლეთ, რომ სასარგებლონი გამოხვიდეთ მამულისა, ოჯახისა და თავისათვისაცაო. განათლება მოგანიჭებთ უფლებას, მაგრამ უფლება წარმოუდგენელია უმოვალეობოდაო. შემდეგ მინისტრმა უთხრა სტუდენტებს, სასწავლებელი ისე კარგადაა მოწყობილი, რომ მანდ წყნარად და მშვიდობიანად შეიძლება სწავლა-მეცნიერებაში გაერთოთო. სააქტო დარბაზში მინისტრმა დაათვალიერა ახალ ლაბორანტთა ნახაზავები. სასწავლებლის დირექტორმა არისტოვმა მოახსენა, რომ გადადებული თანხა არა კმარა სწავლა-აღზრდის დაწესებულებათა საბოლოოდ დასასრულებლადაო. მინისტრმა დაავალა შეადგინოს სრული მოხსენება სასწავლებლის საჭიროებათა შესახებ და ამ მხრივ თავისს დახმარებას დაჰპირდა.

კოკგუისი. (კაპის ახალშენი) მდინარე ბივია-ასკლოფზედ გუშინ ბრძოლა მოხდა ბურთა რაზმსა შეპერსის წინამძღოლობით და ახალშენის ჯარს შორის. შეპერსი კვალად უკან დახეულ იქმნა. რკინის გზის ტელეგრაფი წარსულს დამეს ისევ გასწყვიტეს იმავე ადგილის მახლობლად, სადაც ამას წინად გაწყვეტილ იქმნა.

პეტერბურგი. 24 აპრილს გახსნილ იქმნა პეტერბურგის ბირჟის სათონდო განყოფილება ფინანსთა მინისტრისა, საკრედიტო კანცელარიის დირექტორისა, ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარისა და სხვათა თანადასწრებით.

27 აპრილი

პეტერბურგი. 26 აპრილს ოფიციალურად გახსნილ იქმნა პეტერბურგის ბირჟის სათონდო განყოფილება. ფინანსთა მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნა, რომ ბირჟის ეხლანდელი სამძიმო მდგომარეობა აიხსნება უმთავრესად საზოგადო ხასიათის ეკონომიურ და ფინანსიურ მოვლენით, მაგრამ თავისი ზეგავლენა იქონიეს თვით ბირჟის გარდამეტებულ სპეკულატიურ გატაცებათაო. საზოგადო საქვეყნო მიზეზთა მოსპობა სათონდო განყოფილებას, რასაკვირველია, არ ძალ-უძს, მაგრამ შეუძლიან და ვალდებულიც არის გაათანაბროს ბირჟის მოქმედება და ბოლო მოუღოს გარდამეტებულს სპეკულაციას, რითაც საზოგადოების ნდობა ბირჟისადმი აღდგენილ იქმნება; ამითი იგი გადადგამს პირველს ნაბიჯს საზოგადო მდგომარეობის გაუმჯობესობისაკენ; ამ მდგომარეობის უკეთეს მომავლის ნიშნები უკვე სჩანს. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ბირჟის საქმე მალე დაადგება სწორს გზასაო. ფონდის მაკლერებს მინისტრმა უთხრა, რომ მათი მცირე რიცხვის დანიშვნა გამოიწვია ბირჟის დაკლებულმა წარმოებამაო და მიზნად ჰქონდა დანიშნულ კაცებისათვის საკმაო სამუშაო ქარა მიეცაო. თუ გამოცდილებამ გვაჩვენა, ეს რიცხვი გადიდებული იქმნებაო.

გამოქვეყნებულ იქმნა ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი, რომლითაც ნებადართო ხელ უხლებელ სათადარიგო შაქრის ნაწილის შინაგან ბაზარში გატანისა და დამატებითის ბაჟის გარდა უხდელად.

კვანტუნის ოლქის მთავარი უფროსი ვიცე-ადმირალი ალექსეევი პორტ არტურიდგან დეპეშით იტყობინება, რომ ტიანძინში ინგლისელთა კონსესიაში გერმანიის დარაჯმა დამით სასიკვდილოდ დასჭრა ლეიტენანტი ტელიგოვსკი, რომელიც გარდაიცვალა.

პარიჟი. ახალშენის მინისტრმა პეკინიდგან ცნობა მიიღო, რომლიდგანაც სჩანს, რომ ჩინეთის გენერლის სუს მიერ აჯანყებულთა წინააღმდეგ მიღებულ ზომებისა გამო, რამდენიმე ავაზაკთა ბრბო მრავალჯერ თავს ესხმოდა ფრანგთა ტერიტორიას, მაგრამ ყოველთვის დიდის ზარალით უკან ჩინეთის ტერიტორიაში დაახვევინესო. ავაზაკებთან ბრძოლაში მოკლულ იქმნენ ფრანგების მხრივ ერთი კაპიტანი და ექვსი ჯარის-კაცი; დაჭრილ იქმნა 15 კაცი; სხვაფრივ, ტონკინში, ყოველგან მშვიდობიანობა სუფევსო.

კონსტანტინოპოლი. პორტამ პასუხი გასცა ელჩთა საწინააღმდეგო ნოტის გამო, რომ საფოსტო ყუთებში იპოვნეს მრავალი ძვირფასი ნივთი, აგრეთვე რევოლვერი და ოსმალეთისათვის მავნე წერილები. პორტა ბრალს სდებს უცხოელთა ფოსტამტემტების დირექტორი კონტრაბანდის შემოღებაში. ელჩებმა მოილაპარაკეს ერთმანერთთან საჭირო ზომების მიღების შესახებ კამათის აღმძვრელი იყო სულთანის მეორე მდივანი იზეთ-ბეი.

პარიჟი. ზოგიერთა გაზეთები სწერენ, საჭიროა შეერთებულად იმოქმედონ სოციალისტებმა, ბონაპარტისტებმა, ანტისემიტებმა და მელინისა და დერულედის მომხრეებმა პალატის მომავალ არჩევნების დროს, საფრანგეთის სოციალისტურ ცვლილებისაგან დასაცველადაო.

მადრიდი. სასახლეში ბჭობის შემდეგ ერთმა მინისტრმა, რომელსაც ჟურნალისტი დაეკითხა; სთქვა, რომ ბარცელონაში შეიპყრეს მრავალი ანარხისტი, რომელთაგან ზოგიერთი უცხოელიაო. საგასტა იმედოვნებს, რომ მშვიდობიანობა მალე იქმნება აღდგენილიო.

პრეტორია. გენერლის ბიტსონის ბანაკს ვილსონი 500 ბურით თავს დაესხა; ინგლისელთა ჯარმა უკან დაახევინა მათ, ექვსი კაცი მოუკლა და ბევრი ბარგი წაართვა.—სიმაგრე კლიადამს, სადაც ადგილობრივი კომისარი კაპიტანი დალი სცხოვრობს, თავს დაესხა პოლკოვნიკი გრენფელი.

ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელშიაც მოიკლა ცხრა ბური, სიმაგრე აიღეს ინგლისელებმა, ტყვედ წაიყვანეს 45 კაცი და სამხარი სანოვაგე წაართვეს.

მადრიდი. სასულიერო საქმეთა მინისტრი ამზადებს რომთან დადებულ კონკორდატის რეფორმას. ბარცელონაში გუშინდელი დღე მშვიდობიანად დასრულდა; ჯარები თავის სადგომში დაბრუნდნენ; ტელეფონი ჯერ კიდევ არ მოქმედობს.—ვინაროსში, ვალენსიის პროვინციაში მცხოვრებნი აღელდნენ სოსულ ბერების წინააღმდეგ. მთავრობამ განდევნა ბერები.

წერილი რედაქციის მიმართ.

დიდს მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინცკი სტეფან-წმინდის უფასო სამკითხველოს შემწეობა აღმოუჩინა როგორც ფულად, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების გამოწერით: იაგორ გიორგის ძე ღუდუშაურს, რომელმაც „ივერია" გამოუწერა ერთის წლით; ანდრია მამუკას ძე კობაიძეს, „მოგზაური"-ს გამოწერისათვის; პეტრე ადამისძე ადამაშვილს, საყმ. ჟურნ. „ჯეჯილი"-ს გამოწერისათვის; ალექსი კ. გორსკისა, ა. ნ. გორსკისას, სიმონ შადურს, სიმონ გლახას ძეს გიორგობიანსა და მამასახლისს გიორგი ღუდუშაურს სამ-სამი მანეთის შემოწირვისათვის; მღ. გიორგი სირაძეს, მასწ. ერმალოზ სირბილაძეს და ივანე ალ. შადურს ორ-ორი მანეთის შემოწირვისათვის; ამას გარდა შემოსწირეს: პავლე ღუდუშაურმა 1 მ. და 50 კ.; იობა წამალაიძემ 50 კ. და ალექსანდრე კვაჭაძემ 5 მან.

სამკითხველოს გამგე მასწ. ალექსანდრე
კვაჭაძე

◆ ◆

განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
ჰიგიენური
ბორნო-ცვიმოლის საპონი
პროვიზორის
გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმაროთ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.
ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.
იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.
უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—41)

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

	კაპ.
ქამუშაძის გაჭირვება დ. კლდიაშვილისა	50
მცხეთელი ანრია	10
ი. გოგებაშვილი, ზ. ჭიჭინაძისა	15
ლექსები გაბრუაშვილისა	25
ბუნების საოცარი მოვლენანი	
სახუმარო გასართობი	
Грузинскіе поэты	
Характеристики и воспоминанія	
ისტორია მართლ მადიდებელ ეკკლესიისა ეკკლესიათა განყოფამდე	
კოპერნიკოდამ დარვინამდე	
ამერიკული ვაზის მოშენება	
დამონებულნი	1
საქართველოს ისტორია ბროსესი II	„
ოცი წლის წინეთ გ. წერეთლისა	
ბაში აჩუკი, აკაკისა	
ლექსები, განდეგილისა	
აკიდო, ი. გოგებაშვილისა	
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა	
მოგონება, ხალხური სიმღერა გურულს კილოზე, მუზიკა ქორიძისა	

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება
თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება
„კვერცხის რძე"
სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია: დიდი ქილა —2 მან; პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზე №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.
ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—52)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

კონა. პირველ დასაწყისი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, მეხუთე სურათებიანი გამოცემა, საკუთრება წერა-კითხვის საზოგადოებისა, ფასი ყდით ორი აბაზი. ვინც ოცს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა ცხრა სურათით, გამოცემა მესამე, ფასი ერთი შაური. საკუთრება წერა-კითხვის საზოგადოებისა.
(6—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Апрѣля 1901 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.